ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39

2017 წლის 28 ივნისი

ქ. ზუგდიდი

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ მე-5 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/08/2014, სარეგისტრაციო კოდი: 210020000.35.170.016035) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნატალია შეროზია**